საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ი/მ დავით ნიქანაძის

(ს/კ 18001008692)

სკრინინგის განცხადება

ი/მ დავით ნიქაბაძეს (ს/კ18001008692) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. მეორე სვირის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკა. კოდია: 32. 02.37.117) დაგეგმილი აქვს თევზსაშენი ტბორის მოწყობა და შესაბამისი სამუშაოების განხორციელება. მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა და ჯამური ფართობი 8172 კვ.მ-ია.

ი/მ დავით ნიქაბაძეს სატბორე მეურნეობის მოწყობის (საექსკავაციო) სამუშაოები დაწყებული ჰქონდა საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე. აღნიშნულის გამო ი/მ დავით ნიქაბაძე შემოწმდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურის მიერ და დარღვევებზე შედგენილი იქნა სამართალდარღვევის ოქმი. ი/მ დავით ნიქაბაძემ შეაჩერა დაწყებული სამუშაოები და მიმართა საკონსულტაციო ორგანიზაციას დოკუმენტაციის მომზადების მიზნით.

თევზსაშენ მეურნეობაში დაგეგმილია წელიწადში 20 ტონა თევზის მოშენება, კერძოდ შემდეგი სახეობის - კობრის, საზანის და ჩვეულებრივი სქელშუბლას გამოზრდა და თევზის რეალიზაცია. პირველ ეტაპზე წლის განმავლობაში სატბორე მეურნეობაში მოშენებული თევზის რაოდენობა იქნება 4-5 ტ, თევზსაშენი ტბორისათვის წყლით მომარაგება დაგეგმილია მდ. შაველადან.

ვინაიდა, საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის 9.9 პუნქტის შესაბამისად, კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 m^3 -ზე მეტია, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას და საქმიანობის განმახორციელებელი ვადლებულია საქმიანობის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს დაგეგმილი საქმინობის სკრინინგის განცხადება. ამავე კოდექსის II დანართის 1.6 პუნქტის მიხედვით წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის თევზსაშენი მეურნეობის მოწყობა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას აღნიშნულიდან გამომდინარე სათევზე მეურნეობის მოწყობასა და ექსპლუატაციის საქმიანობასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა სკრინინგის ანგარიში.

წარმოგიდგენთ ჩემს - ი/მ დავით ნიქაბაძის სკრინინგის ანგარიშს, გთხოვთ განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საამქროს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი; სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.
პროექტის ასლი 1 ეგზემპლიარი

პატივისცემით,

ი/მ დავით ნიქანაძე
(ს/კ 18001008692)
ტელ: 568 29 29 59
30.03.2022 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 7745
01 04 2022
02